

შპს „ინტერგეორგია“-ს დაჯარიმების
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით 20.08.2014 წ. № 01-5725 მომართა შპს „ინტერგეორგია“-ს დირექტორმა ირინე ჯუღელმა, რომელიც ითხოვდა ქ. ქუთაისი, ნიკვას ქ. №21-ში ავტოტექნომსახურეობის ცენტრის კორექტირებულ პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

შემოწმებით დადგინდა, რომ მშენებლობა ნაწარმოებია პროექტის დარღვევით, კერძოდ:

- სამხრეთ ფასადზე დაემატა ერთი ღერძი „1-4“ ღერძებს შორის და აღმოსავლეთ ფასადზე მოემატა შენობას სიგანე „ბ-ე“ ღერძებს შორის 5.500 მეტრი.

- შენობის სიმაღლე 4.5 მეტრის ნაცვლად არის 4.80 მეტრი.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „ინტერგეორგია“ მდებარე ქ.ქუთაისი ნიკვას ქ.№21-ში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის“ პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია